პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2023 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4823025167; 25/01/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4823025167**
თარიღი: **25/01/2023**

ადრესატი: ა(ა)იპ წყალტუბოს სპორტული კლუბები

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ 2023 წლის 25 იანვრის №125/4 წერილი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2023 წლის 25 იანვრის №04-4823025155 მიზანშეწონილობა, საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შესახებ. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში, წერილის შესაბამისად ცვლილებას ექვემდებარება შემდეგი:

1. **ფრენბურთის** მწვრთნელის ერთი საშტატო ერთეული გადაკეთდეს ფრენბურთის უფროსი მწვრთნელის საშტატო ერთეულად და სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 475 ლარისა განისაზღვროს 560 ლარით;

ასევე დაემატოს:

2. **ტანვარჯიშის მწვრთნელის** ერთი საშტატო ერთეული და სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 475 ლარით;

სახელფასო განაკვეთებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. საფინანსო ეკონომიკური და შესყიდვების კოორდინატორის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 670 ლარისა განისაზღვროს 800 ლარით;
2. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 605 ლარისა განისაზღვროს 700 ლარით;
3. ბუღალტერის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 670 ლარისა განისაზღვროს 800 ლარით;

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს შრომის ანაზღაურების ერთი თვის ფონდის ზრდას 915 ლარით, წლის განმავლობაში 10 065 ლარით. რომლის უზრუნველყოფა მოხდება ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ 2023 წლის დამტკიცებული სუბსიდიის ფარგლებში.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დანართი 7 ფურცლად

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სპორტული კლუბების გაერთიანება

5400 წყალტუბო, რუსთაველის ქ.№6
☎ (0-436) 22 01 06, მობ. 577 61 64 37

Email: tskaltubossportuliklubebi@gmail.com

SPORT S CLUBS ASSOCIATION OF
TSKALTUBO MUNICIPALITY

Rustaveli №6 str, Tskhaltubo 5400
☎ (0-436) 22 01 06, Mob. 577 61 64 37

Email:tskaltubossportuliklubebi@gmail.com

N 125/4
25/01/2023

4-125-2-202301251641

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება“ გაცნობებთ, რომ გაზრდილი მოსახლეობის მომართვიანობა ტანვარჯიშის სექციასთან დაკავშირებით სოფელ ქვიტირში. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, დაგვიმატოთ ტანვარჯიშის მწვრთნელის ერთი საშტატო ერთეული, განაკვეთით - 475 ლარი.

გთხოვთ, შეიტანოთ ცვლილება დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში და ფრენბურთის მწვრთნელს ერთი საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით 475ლარი გადაკეთდეს ფრენბურთის უფროსი მწვრთნელის ერთ საშტატო ერთეულად და მისი სახელფასო განაკვეთი განისაზღვროს 560 ლარით, ერთი თვის ფონდი გაიზრდება 85ლარით;

ასევე მოახდინოთ ცვლილება დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში, კერძოდ: გაგვიზარდოთ სახელფასო განაკვეთები შემდეგ შტატებზე;

1.საფინანსო, ეკონომიკური და შესყიდვების კოორდინატორი სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 670 ლარისა გაუხდეს 800ლარი, ერთი თვის ფონდი გაიზრდება 130ლარით

2.საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 605 ლარისა გაუხდეს 700ლარი, ერთი თვის ფონდი გაიზრდება 95 ლარით

3.ბუღალტრის სახელფასო განაკვეთი ნაცვლად 670 ლარისა გაუხდეს 800 ლარი, ერთი თვის ფონდი გაიზრდება 130ლარით

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს ერთი თვის სახელფასო ფონდის 915ლარით გაზრდას, ხოლო წლის ბოლომდე 10065 ლარს. აღნიშნული ფინანსური უზრუნველყოფა მოხდება (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების “

2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში.

13-9823025135-48

ირაკლი კუჭავა

მმართველი
ა(ა)ი.პ. "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბები"

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება"

დანართი 1

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება	ერთი თვის ფონდი
		54.0		30830.0
1	მმართველი	1.00	1650	1650
2	მოადგილე	1.00	1100	1100
3	საფინანსო ეკონომიკური და შესყიდვების კოორდინატორი	1.00	800	800
4	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1.00	700	700
5	იურისტი	1.00	670	670
6	პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი	1.00	670	670
7	ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორი	1.00	540	540
8	ბუღალტერი	1.00	800	800
9	სელექციის მენეჯერი	1.00	585	585
10	უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი	1.00	560	560
11	ექიმი	1.00	460	460
12	ექთანი	1.00	460	460
13	სანტექნიკ-ელექტრიკოსი	1.00	495	495
14	მასაჟისტი	1.00	460	460
15	ადმინისტრატორი	2.00	585	1170
16	უსაფრთხოების მენეჯერი	1.00	475	475
17	დამლაგებელი	4.00	365	1460
18	დარაჯი	3.00	365	1095
	სარაგბო კლუბი "დინოზავრი"			0
19	მთავარი მწვრთნელი	1.00	1210	1210
20	უფროსი მწვრთნელი	1.00	560	560
21	მწვრთნელი 18 წ	1.00	475	475
22	მწვრთნელი უმცრ. ასაკი	1.00	475	475
	ხელბურთის კლუბი			0
23	უფროსი მწვრთნელი	1.00	560	560
24	მწვრთნელი	1.00	475	475
	ფრენბურთის კლუბი			0
25	უფროსი მწვრთნელი	2.00	560	1120
26	მწვრთნელი	1.00	475	475
	ფალავანთა კლუბი			0
27	წამყვანი მწვრთნელ კოორდინატორი	1	1000	1000
	ბ/რ ჭიდაობა			0
28	უფროსი მწვრთნელი	1.00	560	560
29	მწვრთნელი	1.00	475	475
	ძიუდო			0

30	უფროსი მწვრთნელ–კოორდინატორი	2.00	650	1300
31	მწვრთნელი	3.00	475	1425
	სპორტული სექციები			0
	კალათბურთი			0
32	უფროსი მწვრთნელი	1.00	560	560
33	მწვრთნელი	2.00	475	950
	მძლეოსნობა			0
34	მწვრთნელი	1.00	475	475
	მკლავჭიდი			0
35	მწვრთნელი	1.00	475	475
	კრივი			0
36	მწვრთნელი	2.00	475	950
	ქართული ჭიდაობა			0
37	მწვრთნელი	1.00	700	700
	მალოსნობა			0
38	უფროსი მწვრთნელი	1.00	560	560
39	მწვრთნელი	1.00	475	475
	ჭადრაკი			0
40	მწვრთნელი	1.00	475	475
	ტანვარჯიში			0
41	მწვრთნელი	1.00	475	475
	მაგიდის ჩოგბურთი			0
42	მწვრთნელი	1.00	475	475

მმართველი: ი. კუჭავა

ბუღალტერი: ლ. ჩირგაძე

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება"

დანართი 1

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
		54.0	
1	მმართველი	1.00	1650
2	მოადგილე	1.00	1100
3	საფინანსო ეკონომიკური და შესყიდვების კოორდინატორი	1.00	800
4	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1.00	700
5	იურისტი	1.00	670
6	პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი	1.00	670
7	ლოჯისტიკის მართვის კოორდინატორი	1.00	540
8	ბუღალტერი	1.00	800
9	სელექციის მენეჯერი	1.00	585
10	უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი	1.00	560
11	ექიმი	1.00	460
12	ექთანი	1.00	460
13	სანტექნიკ-ელექტრიკოსი	1.00	495
14	მასაჟისტი	1.00	460
15	ადმინისტრატორი	2.00	585
16	უსაფრთხოების მენეჯერი	1.00	475
17	დამლაგებელი	4.00	365
18	დარაჯი	3.00	365
	სარაგბო კლუბი "დინოზავრი"		
19	მთავარი მწვრთნელი	1.00	1210
20	უფროსი მწვრთნელი	1.00	560
21	მწვრთნელი 18 წ	1.00	475
22	მწვრთნელი უმცრ. ასაკი	1.00	475
	ხელბურთის კლუბი		
23	უფროსი მწვრთნელი	1.00	560
24	მწვრთნელი	1.00	475
	ფრენბურთის კლუბი		
25	უფროსი მწვრთნელი	2.00	560
26	მწვრთნელი	1.00	475
	ფალავანთა კლუბი		
27	წამყვანი მწვრთნელ კოორდინატორი	1	1000
	ბ/რ ჭიდაობა		
28	უფროსი მწვრთნელი	1.00	560
29	მწვრთნელი	1.00	475
	ძიუდო		

30	უფროსი მწვრთნელ–კოორდინატორი	2.00	650
31	მწვრთნელი	3.00	475
	სპორტული სექციები		
	კალათბურთი		
32	უფროსი მწვრთნელი	1.00	560
33	მწვრთნელი	2.00	475
	მძლეოსნობა		
34	მწვრთნელი	1.00	475
	მკლავჭიდი		
35	მწვრთნელი	1.00	475
	კრივი		
36	მწვრთნელი	2.00	475
	ქართული ჭიდაობა		
37	მწვრთნელი	1.00	700
	ძალოსნობა		
38	უფროსი მწვრთნელი	1.00	560
39	მწვრთნელი	1.00	475
	ჭადრაკი		
40	მწვრთნელი	1.00	475
	მაგიდის ჩოგბურთი		
41	მწვრთნელი	1.00	475
	ტანვარჯიში		
42	მწვრთნელი	1.00	475

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:**04-4823025155**
თარიღი: **25/01/2023**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ **გენადი ბალანჩივაძეს**

სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი- მერიის

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის

საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გენადი,

მ/წლის 25 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების" მმართველის N 125/4 წერილი, რომელიც შეეხება აღნიშნული ორგანიზაციის საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანას.

ორგანიზაციის წარმატებით მუშაობისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2023 წლის საშტატო ნუსხაში მოხდეს ცვლილება თანდართული ცხრილის მიხედვით.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს მოახდინოს ცვლილება.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

რიმა მარგიანი

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური-სამსახურის უფროსი